შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"
LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE"
ტელ: 577588218 599179823; (032) 2227704
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

01.03.2024 - 2024 - 66

ვამტკიცებ,დირექტორი

დემური ტაბატაძე

/ხელმოწერა. ბ.ა/

/სახელი გვარი/

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩის #81-ში (ს.კ 01.14.05.008.038) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

თბილისი 2024წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩის #81-ში (ს.კ 01.14.05.008.038) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შესაფასებელია ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩის #81-ში (ს.კ 01.14.05.008.038) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებები და ამ ცვლილებების გათვალისწინებით შენობის სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობების შეფასება ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

დამკვეთის მიერ საექსპერტიზოდ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ელექტრონული ვერსია, Pdf ფაილი), რომელიც დამუშავებული იქნა შპს „ტ.ტ. კომპანი„-ს ინჟინერ გეოლოგების მიერ 2019 წელს.
2. შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია (pln და pdf ფაილები);
3. შპს "ალფა პროჯექტ ჯორჯია "-ს თანამშრომლების მიერ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტი. საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების; კედლების, დიაფრაგმების, კიბეების და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები და მათი კვანძები, აგრეთვე კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმირებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი შემაერთებელი კვანძების გადაწყვეტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
4. შენობის კომპიუტერული კორეტირებული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (lir ფაილი).

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა:

ა) ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვები, კონდენციონერი და მრიცხველების კარადები.



ბ) 4-1 ფასადზე -3.00 ნიშნულზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარები და დამატებით მწყობილია ლითონის მოაჯირი.

გ) +12.00 ნიშნულზე ლითონის კიბე გ-ა ფასადის მაგივრად მოწყობილია 4-1 ფასადზე.

დ) +12.00 ნიშნულზე შემცირებულია დამხმარე ფართობის გაბარიტი და კარის წინ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბის საფეხურები.

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ეხება შენობის არამზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს. შენობის კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში, სტატიკურ დატვირთვებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.

გაანგარიშებით მიღებული შედეგების შესაბამისად გადამოწმებული იქნა მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები, რომლებიც ასახული იქნა კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში და რომლის მიხედვითაც განხორციელებული ფაქტიურად მშენებლობა.

დასკვნა:

არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებები არსებითად არ ცვლის შენობის მზიდ კონსტრუქციულ სქემას და შეიძლება ჩაითვალოს როგორც უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებიც ფაქტიურად გავლენას არ ახდენს შენობის სიხისტისა და მდგრადობის პირობებზე.

ექსპერტი: დ. ტაბატაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01240591997**
თარიღი: **28/02/2024**

ადრესატი: შპს კომპაქტ დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405112391
მისამართი: მინდელის ქ 10ა

თქვენი 27.02.2024წ. N10/01240582645-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ვაკე, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, N81-ში (ს/კ №01.14.05.008.038) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.10.2021წ. N5634034 ბრძანებით განსაზღვრული I-X ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ.თბილისის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
022 405026877

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/0-462-24

"12" 03. 2024 წ.

დადგენილება №002986
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

12.03.2024წ. ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა განვიხილე, 2024 წლის 31 იანვრის №002986 მითითება და 2024 წლის 27 თებერვლის შემოწმების აქტი №002986 შედგენილი, **შ.პ.ს. „კომპაქტ დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ №405112391 მის.: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ელიზბარ მინდელის ქუჩა №10ა, სართული №1, ოფისი №3) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, №81, №01.14.05.008.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. „კომპაქტ დეველოპმენტი-ს მიერ, განხორციელდა III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №5634034 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ დარღვეულია მე-9 ეტაპით გათვალისწინებული „არამზიდი კონსტრუქციების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები." – გათვალისწინებული სამუშაოები: - ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვები, კონდიციონერი და მრიცხველების კარადები. 4-1 ფასადეზე -3.00 ნიშნულზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარები და დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. გ-ა ფასადზე +12.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის კიბე. +11.90 ნიშნულზე შემცირებულია დამხმარე ფართობის გაბარიტი და კარის წინ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბის საფეხურები. ამავე ნიშნულზე კიბის უჯრედში არ არის მოწყობილი კარი. კიბის უჯრედში არ არის დასრულებული 41-ე დადგენილებით გათვალისწინებული მოაჯირების მოწყობა.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის

მიმართ, 2024 წლის 31 იანვარს, შედგა №002986 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა და დაევალა ობიექტის მოყვანა ბრძანებით შეთანხმებულ სანებართვო პირობებთან შესაბამისობაში.

2024 წლის 27 თებერვალს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №002986 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია მხარის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, 2024 წლის 27 თებრვალს წარმოდგენილი №10/01240582580-17 განცხადება, რომლითაც დაეთანხმა მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 31 იანვრის №002986 მითითებაში ასახულ დარღვევებს და ითხოვა კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „კომპაქტ დეველოპმენტი-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, №81, №01.14.05.008.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №5634034 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ დარღვეულია მე-9 ეტაპით გათვალისწინებული „არამზიდი კონსტრუქციების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები." – გათვალისწინებული სამუშაოები: - ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვები, კონდიციონერი და მრიცხველების კარადები. 4-1 ფასადეზე -3.00 ნიშნულზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარები და დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. გ-ა ფასადზე +12.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის კიბე. +11.90 ნიშნულზე შემცირებულია დამხმარე ფართობის გაბარიტი და კარის წინ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბის საფეხურები. ამავე ნიშნულზე კიბის უჯრედში არ არის მოწყობილი კარი. კიბის უჯრედში არ არის დასრულებული 41-ე დადგენილებით გათვალისწინებული მოაჯირების მოწყობა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „კომპაქტ დეველოპმენტი"** დაჯარიმდეს 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, №81, №01.14.05.008.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №5634034 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით, (დარღვეულია მე-9 ეტაპით გათვალისწინებული „არამზიდი კონსტრუქციების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.” – გათვალისწინებული სამუშაოები) – III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს. **„კომპაქტ დეველოპმენტი”-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „კომპაქტ დეველოპმენტი”-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზაზა კვიციანი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 002986

შედგენის თარიღი: 27.02.2024

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში ამოწმებს მითითების შესრულებას, ადგენს შემოწმების აქტს და მასში ასახავს ინფორმაციას მითითების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 124-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მითითება გაცემულია საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 132-3 მუხლის 1 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დაგება 31.01.2024 წ.

გაცემული № 002986 მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ქონების მართვის სერვისი“ ს/კ 405112291; ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქ. №10; ტერიტორიული ერთეული 1; კვარტალი 3; ნაკვეთი 21 მისამართზე: ს/კ 01010000039 ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. კორპუსი, ნაგებობა 10.

ობიექტის დასახელება და მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის - ს/ხ. ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნაკვეთი 21, ტერიტორიული ერთეული 1, კვარტალი 3, ნაკვეთი 21, ს/კ 01.14.05.008038

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: ფასადი

შემოწმებით დადგინდა:

შპს „ქონების მართვის სერვისი“ ს/კ 405112291 მიერ 27.02.2024 წელს №№/012405822580-17 ელექტრონული სისტემაში 31.01.2024 წ. №002986 მითითების ვადაში შესრულების ანგარიშის წარმოდგენა არ მომხდარა.

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:
ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ;
გ) დამრღვევის დაჯარიმებისა (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 125-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ-თუ უნებართვო მშენებლობის განმახორციელებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაა (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 127-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
თუ მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია, მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ, არ არსებობს 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 127-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ დარღვევა დადგენილების მიღებამდე გამოსწორდა, გარდა ამ კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისა, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 125-ე მუხლის მე-5 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):
_____ 18.03.24
_____
_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):
_____ 12.03.24
_____
_____
_____

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ ის არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)
_____
_____ განთავსების თარიღი

საგადახდო დავალება
Payment Order

240312165612418

GEL

ლიბერთი
ბანკი ყველაგან და ყველასთვის

თარიღი / Date 12/03/2024

გადამხდელი / Sender

შპს კომპაქტ დეველოპმენტი, 405112391, GE

რეფერენსი / Ref. num

გადამხდელის ანგარიში / Sender's account

GE21LB0113142977312001

თანხა / Amount

10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

ბანკის კოდი / Bank code

სს"ლიბერთი ბანკი"

LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

თანხა სიტყვიერად
Amount in words

დასახელება/Name

შპს კომპაქტ დეველოპმენტი

ათი ათასი ლარი / Ten thousand Lari

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's tax code

405112391

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/ წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date

12/03/2024

მიმღები / Receiver

საგადასახადო ინსპექცია

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Receiver's acc/Treasury code

300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

TRESGE22

ბანკის ხელმოწერა
Bank signature

გადახდის დანიშნულება / Operation details

დადგენილება N 002986 მის ალექსანდრე საშა იოსელიანის N 38 ს/კ 01.14.05.008.038

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

ბ.ა./Stamp

გადამხდელის ხელმოწერა
Sender's signature

დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ა) სრულად გავეცანი და ვეთანხმები სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობებს, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.libertybank.ge; ბ) მომსახურების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავება (მათ შორის, ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემას ან/და მათგან ინფორმაციის გამოთხოვა); გ) თანახმა ვარ, ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად და საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.